

№3-293

27.02.2019



სურსათის ეროვნული სააგენტოს

უფროსს ბატონ ზურაბ ჩეკურაშვილს

ბატონო ზურაბ,

გმადლობთ ჩვენს წერილზე (N3-293) პასუხისათვის, რომელიც ეხებოდა მალაზია „კარფურში“ ხაჭოს დასახელებით მცენარეული ცხიმის შემცველი პროდუქტის გაყიდვას.

სამწუხაროა, რომ სეს-მა ამ ფაქტთან დაკავშირებით დროული რეაგირება ვერ მოახერხა, იმის გამო, რომ რძესა და რძის ნაწარმში მცენარეული ცხიმის აღმოჩენის შესახებ შესაბამის ლაბორატორიასთან ხელშეკრულება არა აქვს დადებული.

მიგვაჩნია, რომ სეს-ს, როგორც სურსათის სფეროში ქვეყნის მთავარ მაკონტროლებელ ორგანოს ყოველთვის უნდა გააჩნდეს იმის ბერკეტები, რომ, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მომხმარებლის უფლებების დარღვევის ფაქტებზე დროული რეაგირება მოახდინოს. დაუშვებელია წლის განმავლობაში არსებობდეს ისეთი პერიოდები, როდესაც კანონდარღვევა დაუსჯელი დარჩება.

მოგიწოდებთ, დაუყოვნებლივ გამოასწოროთ ეს ორგანიზაციული ხარვეზი თქვენს უწყებაში და მიიღოთ შესაბამისი ზომები, რათა მომავალში ასეთი შემთხვევა აღარ განმეორდეს.

პატივისცემით,

ვახტანგ კობალაძე

პროგრამის კოორდინატორი

მომხმარებელი.გე

www.moxmarebeli.ge

საკითხს აშუქებს

